

ჰონკონგი, ჩინეთი – 1997

(რა გზით ვიაროთ აფხაზეთისკენ?!)

ჯემალ გახოკიძე

პოლიტიკისა და სამართლის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სოფო მიდელაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

HONG KONG, CHINA – 1997

(What is the way to Abkhazia?!)

Jemal Gakhokidze

Doctor of Political and Legal Science. Professor

Sopho Midelashvili

Doctor of Social Science. Professor

რეზიუმე

საქართველოსთვის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს კონფლიქტების დარეგულირება აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან. ამ მხრივ ჩინეთის მთავრობის ინოვაციურმა მიდგომამ ჰონკონგის მიმართ გამოიწვია ავტორთა ინტერესი, რადგან იგი საინტერესო გახდა როგორც ისტორიული, ისე პოლიტიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ჰონკონგის პრობლემის გადაწყვეტა მოახერხა მშვიდობიანად და ყოველგვარი პრობლემის გარეშე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი არის აბსოლუტურად ახალი მოდელი ტერიტორიული მონყობისა. იგი ჩინეთის სახელმწიფოს მხრიდან რეალპოლიტიკის გამოვლინებაა. **რეალპოლიტიკა კი კონფლიქტების მშვიდობიანად გადაწყვეტის უალტერნატივო და ერთადერთი სწორი გზაა. მიზნის მისაღწევად ომისა და ძალადობის გამოყენება უტოპიაა და მეტი არაფერი.** როგორც ჩანს, ახალი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, კონფლიქტების ჩიხიდან გამოსაყვანად განსხვავებული სტრატეგია სჭირდება, როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ისე საერთაშორისო თანამეგობრობას.

RESUME

Despite of twenty year efforts of Georgian Government, International Community and Friendly Countries of Georgia, the situation in the conflict resolution is not getting better. Russian-Georgian War in 2008 turned out to be fatal for Georgia the disastrous results of which radically changed the political reality of the region. The results of war encroached the national interests of Georgia, including the prospects for conflict resolution in the first place. 20% of Georgian territory is occupied. After the war, we completely lost the control on the Kodori gorge and Akhgori region. While the International Community and even the Russian Federation have repeatedly recognized Georgia in its borders, Russia, neglecting the fundamental principles of International Law (in particular, the territorial integrity) recognized Abkhazia and so-called South Ossetia as Independent States. Unfortunately, after the war, Abkhazia and so-called South Ossetia were considered towards Georgia as separated regions.

Under such circumstances, it became necessary to search for new ways of conflict resolution based only upon real politics. Real politics is non-alternative and the only right way to peacefully settle the conflicts. The use of war and violence to accomplish this is nonsense and nothing more. Apparently, based upon the new political realities, a different strategy is necessary for both Georgian Government and International Community to take the conflicts out of deadlock.

Hong Kong is a very interesting phenomenon for us because its return to the Mother Country on the first day of July 1997 was truly a unique event and the current reality. Therefore we consider it's important to analyze historical as well as political-legal and economic aspects of the solution of the conflict like Hong Kong and draw possible parallels, search for similarities and differences between Georgia and its separated regions.

საქართველოს ხელისუფლების, საერთაშორისო თანამეგობრობისა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების ოცნლიანი ძალისხმევის მიუხედავად, კონფლიქტების დარეგულირების მდგომარეობა უკეთესობისაკენ არ მიდის. საქართველოსთვის საბედისწერო აღმოჩნდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, რომლის დამლუპველმა შედეგებმა რეგიონში პოლიტიკური რეალობა რადიკალურად შეცვალა. ომის შედეგებმა ხელყო საქართველოს ეროვნულ ინტერესები, მათ შორის, უპირველესად, კონფლიქტების გადანყვეტის პერსპექტივები. ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორიის 20%. ომის შემდეგ მთლიანად დავკარგეთ კონტროლი კოდორის ხეობასა და ახალგორის რაიონზე. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ და თვით რუსეთმაც საქართველო თავის საზღვრებში არაერთხელ აღიარა, რუსეთმა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების (კერძოდ, ტერიტორიული მთლიანობის) უგულებელყოფით ცნო აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთი ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები. **სამწუხაროდ, ომის შემდეგ საქართველოსთან მიმართებაში აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთი ოსეთი უნდა განვიხილოთ, როგორც განდგომილი რეგიონები.**

ასეთ ვითარებაში საჭიროა კონფლიქტების დარეგულირების ახალი გზების ძიება, რომელიც მხოლოდ რეალპოლიტიკას დაემყარება. **რეალპოლიტიკა კონფლიქტების მხოლოდ მშვიდობიანად გადანყვეტის უალტერნატივო და ერთადერთი სწორი გზაა. მიზნის მისაღწევად ომისა და ძალადობის გამოყენება უტოპიაა და მეტი არაფერი.** როგორც ჩანს, ახალი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, კონფლიქტების ჩიხიდან გამოსაყვანად განსხვავებული სტრატეგია სჭირდება, როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ისე საერთაშორისო თანამეგობრობას.

ამ მხრივ ჩვენთვის მეტად საინტერესო აღმოჩნდა ჰონკონგის ფენომენი, რადგან 1997 წლის პირველ ივლისს მისი დედასახელმწიფოში დაბრუნება მართლაც უნიკალური მოვლენა და უკვე არსებული რეალობაა.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ფაქტობრივად, ჰონკონგის ჩინეთში დაბრუნება მშვიდობიანად მოხდა. ასეთი პრეცედენტები კი მსოფლიოში ნაკლებად მოიძებნება. თუმცა შეუთავსებლობის და დაპირისპირების წინაპირობები საკმაოდ ბევრი იყო. საკმარისია აღინიშნოს, აბსოლუტურად განსხვავებული, უფრო სწორად, დაპირისპირებული ორი სისტემის არსებობა: ერთი მხრივ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალიზმი და მეორე მხრივ — ჰონკონგის კაპიტალიზმი. ეს წინააღმდეგობა გადაილახა ძირითადად ჩინეთის ხელისუფლების მხრიდან გამოჩენილი პრაგმატული და რეალპოლიტიკაზე დამყარებული პოლიტიკური ნებით. ჩინეთის ლიდერის დენ სიაოპინის მიერ შემუშავებულმა იდეამ — „ერთი სახელმწიფო, ორი სისტემა“ — გარღვევა მოახდინა და გადამწყვეტი როლი შეასრულა ჰონკონგზე ჩინეთის სუვერენიტეტის აღდგენის თვალსაზრისით. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ჰონკონგ-ჩინეთის გაერთიანებასთან დაკავშირებით დიდი ბრიტანეთისა და მისი პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის როლი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰონკონგელთა ძალისხმევა გარანტირებული მომავლისთვის.

უპირველესად, თვალში საცემია ის ფაქტი, რომ ჰონკონგს ეწოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი. საქმე მარტო დასახელებაში არ არის — სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს ჰონკონგის კონსტიტუციით (ძირითადი კანონით) სწორედ სპეციალური უფლებამოსილება მიენიჭა. ჩინეთის სხვა ადმინისტრაციული რეგიონებისაგან განსხვავებით, ჰონკონგში ძალიან მაღალი დამოუკიდებლობისა და მართვის ავტონომიურობის ხარისხი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროებში, კომპეტენციათა და უფლებათა გამიჯვნაში ცენტრსა და რეგიონს შორის. ჰონკონგმა ცენტრალურ ხელისუფლებას გადასცა მხოლოდ საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვითი ფუნქციები. სამაგიეროდ, ჰონკონგის სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია, მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სასამართლოებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია დამოუკიდებლობის ხარისხი ეკონომიკურ საქმიანობაში. ჰონკონგს შეუნარჩუნდა თავისუფალი პორტისა და ცალკე საბაჟო ტერიტორიის სტატუსი. ხაზი გვინდა გავუსვათ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას — ჯერ კიდევ 1983 წელს ჩინეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ 1997 წლის პირველი ივლისიდან ჰონკონგი, როგორც დამოუკიდებლად, ისე ჩინეთის მთავრობასთან ერთად საერთაშორისო ურთიერთობებში გამოიყენებდა სახელს — „ჰონკონგი, ჩინეთი“. ჩინეთის ხელისუფალთა ასეთი წინდახედულება შევაფასეთ, როგორც ჰონკონგელებისათვის სახელმწიფოებრიობაზე გაცხადებული ამბიციების დაკმაყოფილებისაკენ გადადგმული ნაბიჯი.

მიგვაჩნია, რომ ჰონკონგზე ჩინეთის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს, ბრძნულ მიგნებებს, ჩიხიდან გამოსავლის ძიების მიზნით მათ იურიდიზაციას, რეალპოლიტიკაზე დაფუძნებულ დიპლომატიურ სვლებს და ამ პროცესში გამოყენებულ „რბილად დაშვების“ პოლიტიკას არ შეიძლება მივანიჭოთ წინასწარ დადგენილი იურიდიული ძალა და მოხდეს მათი პირდაპირი კოპირება საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირებისათვის მიღებული გადაწყვეტილებების დროს. ამასთანავე, ჰონკონგის გავლილი გზა, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, კრიტიკულადაა გასაანალიზებელი, ანგარიშგასანევი და მხედველობაში მისაღები.

1898 წელს, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის მთავრობებს შორის ხელი მოეწერა პეკინის მეორე კონვენციას, რომელიც ეხებოდა ჰონკონგთან დაკავშირებით 99 წლიან საიჯარო შეთანხმებას და პირობას, რომ ჰონკონგი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ (1997 წელს) დაუბრუნდებოდა ჩინეთს.

ახლოვდებოდა რა ხელშეკრულების ვადის გასვლის თარიღი, ჰონკონგში არასტაბილურობის განცდა მატულობდა. 1982 წლის იანვრისთვის ჩინეთის მთავრობა გამოთქვამდა მზაობას, ბრიტანეთთან დაწყებულიყო საკითხის განხილვა. ჩინეთ-ჰონკონგის მომავალი ბედი სულ უფრო აქტუალური ხდებოდა დიდი ბრიტანეთისათვისაც. სწორედ ამით იყო განპირობებული ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ მარგარეტ ტეტჩერის ვიზიტი ჩინეთში 1982 წლის 22 სექტემბერს. ვიზიტი უდავოდ მნიშვნელოვანი იყო, ამავე დროს რთულიც აღმოჩნდა.

ბრიტანეთის პრემიერი ცდილობდა, ჩინური მხარე დაერწმუნებინა იმაში, რომ ჰონკონგის წინსვლა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრიტანეთი კვლავ განაგრძობდა მის ადმინისტრირებას გარკვეულ ფარგლებში 1997 წლის პირველი ივლისის შემდეგაც. ჩინური მხარე, დენ სიაოპინის მეთაურობით აფიქსირებდა თავის ურყევ პოზიციას, რომ 1997 წლიდან ჰონკონგზე უნდა აღდგენილიყო ჩინეთის სუვერენიტეტი და ამ კუთხით ის რაიმე დათმობაზე ნასვლას არ აპირებდა.

შეხვედრის შემდეგ გავრცელდა შემდეგი შინაარსის ოფიციალური განცხადება: „ჰონკონგის კეთილდღეობისა და სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით მხარეები შეთანხმდნენ, გააგრძელონ მოლაპარაკებები დიპლომატიური არხების მეშვეობით“. ეს იყო ათვლის ნერტილი სახელმწიფოთა დონეზე მოლაპარაკებების დაწყებისა ჰონკონგთან დაკავშირებით.

მარგარეტ ტეტჩერის ვიზიტის შემდეგ ორწლიანი მოლაპარაკებები დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის მთავრობებს შორის ორ ეტაპად მიმდინარეობდა.

პირველი ეტაპი მოიცავდა 1982 წლის სექტემბრიდან (როდესაც მარგარეტ ტეტჩერი ეწვია ჩინეთს) 1983 წლის ივნისამდე პერიოდს, რომლის განმავლობაში მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას მოლაპარაკებების ჩატარების წესის, მისი ორგანიზაციული უზრუნველყოფისა და სხვა პროცედურების შესახებ. ამ ფაზაში დავის მთავარი საგანი იყო ის, რომ ჩინეთს ყოველთვის ჰქონდა უფლება ჰონკონგზე, თუმცა ბრიტანეთის მხრიდან მისი ოკუპაციის გამო ჩინეთი ვერ ახორციელებდა მას გარკვეული დროის განმავლობაში. ჩინეთი მოითხოვდა, რომ ბრიტანეთს დაებრუნებინა ჰონკონგი, მასზე სრული სუვერენიტეტის განხორციელების მიზნით, გარკვეული პირობებით. ბრიტანეთი კი თავის მხრივ ამტკიცებდა, რომ მას უნდა დარჩენოდა მართვის გარკვეული ბერკეტები შემდეგშიც, რაც პირველ რიგში ჰონკონგელთა ინტერესებში შედიოდა. ჩატარდა მოლაპარაკებების 5 რაუნდი, თუმცა მხარეები თავიანთი პოზიციების ერთგულნი რჩებოდნენ და შეთანხმებისგან ჯერ კიდევ შორს იყვნენ.

1982 წლის დეკემბერში ჩინეთის ეროვნულმა სახალხო კონგრესმა მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომლის 31-ე მუხლი ითვალისწინებდა სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის დაარსებას. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მიხედვით, „საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებული პირობების არსებობისას, ჩინეთის სახელმწიფოს შეუძლია, დააარსოს სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი, რომლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ეროვნული სახალხო კონგრესი“. **ჩინეთის კონსტიტუციაში სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის შექმნის გათვალისწინება ერთი მხრივ ავტონომიის სხვა შინაარსის მქონე ახალი ფორმის შესახებ მსოფლიოსათვის ხმამაღალი განცხადება იყო, მეორე მხრივ კი — ჰონკონგის მომავლის კონსტიტუციურად ფაქტობრივი აღიარება. ჩინეთმა ამით ჰონკონგის სამომავლო სტატუსის პოლიტიკურ-სამართლებრივი „რეცეპტი გამოიწერა“ და მისი იურიდიზაცია მოახდინა.**

სუვერენიტეტის საკითხის ირგვლივ არსებული წინაღმდეგობები, ფაქტობრივად გადაილახა და დაიწყო მზადება მოლაპარაკებათა მეორე ეტაპის დაწყებისათვის.

მეორე ეტაპი გრძელდებოდა 1983 წლის ივლისიდან 1984 წლის დეკემბრამდე და დამთავრდა პეკინში ჩინურ-ბრიტანული ერთობლივი დეკლარაციის ხელმოწერით.

1984 წლის 19 დეკემბერს ჩინეთის პრემიერ-მინისტრმა ჟაო ნიანმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა, საკუთარ მთავრობათა სახელით ხელი მოაწერეს **ჩინურ-ბრიტანულ ერთობლივ დეკლარაციას**, რომელიც „ერთი სახელმწიფო, ორი სისტემის“ არსიდან გამომდინარე ასახავდა ჩინეთ-ჰონკონგის სამომავლო ურთიერთობების ბაზისურ პრინციპებს. უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი მაინც ის გახლდათ, რომ მთელი მსოფლიოს გასაგონად მხარეებმა საზეიმოდ განაცხადეს: **“ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთვრობა დაიბრუნებს სუვერენიტეტს ჰონკონგზე 1997 წლის პირველ ივლისს”**.

აღნიშნული დეკლარაციის თანახმად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ განაცხადა, რომ მისი ძირითადი პოლიტიკა ჰონკონგთან მიმართებაში შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- (1) ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დაიცავს ტერიტორიულ მთლიანობას და ეროვნულ ერთიანობას, გაითვალისწინებს ჰონკონგის ისტორიასა და მის რეალობას. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, თანახმად მისი კონსტიტუციის 31-ე მუხლისა, დააარსებს ჰონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს, რომელზეც გავრცელდება ჩინეთის სუვერენიტეტი. ჰონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონზე განხორციელდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობის უფლებამოსილება;
- (2) ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი ისარგებლებს მაღალი ხარისხის ავტონომიით. მას არ მიენიჭება მხოლოდ ეროვნული თავდაცვისა და დიპლომატიური ურთიერთობების უფლება-მოვალეობანი, რადგან ეს ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაა;
- (3) ჰონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს ეყოლება აღმასრულებელი, საკანონმდებლო და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება, ექნება საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების მიღების უფლება. ჰონკონგში მოქმედი კანონები, ძირითადად, უცვლელი დარჩება;
- (4) ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის მთავრობა დაკომპლექტდება ადგილობრივი მოსახლეობით. მთავარ აღმასრულებელს დანიშნავს ცენტრალური სახალხო მთავრობა არჩევნების ან კონსულტაციების შედეგების საფუძველზე. ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის მთავარი აღმასრულებელი ცენტრალურ სახალხო მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს ძირითად თანამდებობის პირებს.
ჩინეთისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც უკვე მუშაობენ ჰონკონგის დეპარტამენტების საჯარო სამსახურებსა და პოლიციაში, შესაძლებელია, დარჩნენ თანამდებობებზე. ბრიტანეთისა და სხვა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეეძლებათ იმსახურონ მრჩევლებად ან დაიკავონ საჯარო თანამდებობები ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის სამთავრობო სტრუქტურების განყოფილებებში;
- (5) მოქმედი სოციალური და ეკონომიკური სისტემები, ასევე არსებული ცხოვრების სტილი, ჰონკონგში დარჩება უცვლელი. ჰონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონში კანონით იქნება დაცული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის სიტყვის, პრესის, შეკრების, გაერთიანების, მოგზაურობის, გადაადგილების, გაფიცვის, არჩევანის, აკადემიური კვლევისა და რწმენის. კერძო საკუთრება, სანარმოთა ფლობა, მემკვიდრეობის ლეგიტიმური უფლება და უცხოური ინვესტიციები - ასევე დაცული იქნება კანონით;
- (6) ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი შეინარჩუნებს თავისუფალი პორტისა და ცალკე საბაჟო ტერიტორიის სტატუსს;
- (7) ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი შეინარჩუნებს საერთაშორისო საფინანსო ცენტრის სტატუსს, მისი ბაზარი უცხოური ვალუტისთვის, ოქროსთვის, ფასიანი ქაღალდებისა და ზოგადად, მომავლისთვის, იქნება ხელშეუხებელი, კაპიტალის მოძრაობა კი - თავისუფალი. ჰონკონგის დოლარი დარჩება ბრუნვაში და იქნება თავისუფლად კონვერტირებადი;
- (8) ჰონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს ექნება დამოუკიდებელი ფინანსები. ჰონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონში ცენტრალური სახალხო ხელისუფლება არ ჩაერევა გადასახადების გადახდის საკითხში;
- (9) ჰონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს შეუძლია, დაამყაროს ეკონომიკური ურთიერთობები დიდ ბრიტანეთთან და სხვა ქვეყნებთან, რომელთა ეკონომიკური ინტერესები ჰონკონგისთვის მისაღები იქნება;
- (10) მომავალში გამოყენებული იქნება სახელი - „ჰონკონგი, ჩინეთი“. ჰონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს, შეუძლია შეინარჩუნოს და განავითაროს ეკონომიკური და

კულტურული ურთიერთობები და დადოს შესაბამისი ხელშეკრულებები სახელმწიფოებთან, რეგიონებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის მთავრობას შეიძლება ჰქონდეს საკუთარი პოზიცია ჰონკონგში შესვლისა და გასვლის პირობების, აგრეთვე სამგზავრო დოკუმენტაციის შესახებ;

- (11) ჰონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონში საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის მთავრობას;
- (12) ჰონკონგთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ზემოაღნიშნული პოლიტიკა გათვალისწინებული იქნება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის კონსტიტუციაში. ამას უზრუნველყოფს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული სახალხო კონგრესი და უცვლელი დარჩება 50 წლის განმავლობაში.

ჩინურ-ბრიტანული დეკლარაციის ხელმოწერისა და ამ საკითხებზე მხარეთა მოლაპარაკებათა დასრულების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ჰონკონგის კონსტიტუციის შემუშავების საკითხი. 1985 წელს ჰონკონგში, თავის მხრივ, შეიქმნა საკონსულტაციო კომიტეტი, რომელსაც უნდა შეესწავლა კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით ჰონკონგის მოსახლეობის მოსაზრებები, შენიშვნები და წინადადებები და მიენოებინა კონსტიტუციის მოსამზადებელი კომიტეტისთვის. ამ წესით მუშაობა გაგრძელდა თითქმის სამი წელი.

კონსტიტუციის პირველი პროექტი გამოქვეყნდა 1988 წლის აპრილში, ხუთთვიანი საჯარო კონსულტაციების შემდეგ. მისი ჩასწორებული ვარიანტი, უკვე მეორე პროექტის სახით, გამოქვეყნდა 1989 წლის თებერვალში, თუმცა კონსულტაციები კვლავ გრძელდებოდა 1989 წლის ოქტომბრამდე. საბოლოოდ, ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის ძირითადი კანონი 1990 წლის 4 აპრილს დაამტკიცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნულმა სახალხო კონგრესმა. კონსტიტუცია ძალაში შევიდა 1997 წლის პირველ ივლისს.

ჰონკონგის კონსტიტუციის შესახებ უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციაში 1984 წლის ერთობლივი დეკლარაციით აღიარებული პრინციპები სრულედაა ასახული და გაზიარებული. მეორე — ის, რომ კონსტიტუცია მის ამოქმედებამდე 7 წლით ადრე მიიღო და დაამტკიცა ჩინეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ გარდა დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის ერთობლივი დეკლარაციისა, მიზანშეწონილად ჩაითვალა ჰონკონგ-ჩინეთის მომავალი ურთიერთობებისათვის რამდენიმე წლით ადრე შეექმნათ სამივე მხარისათვის მისაღები კონსტიტუციური გარანტიები. კონსტიტუცია — ძირითადი კანონი, რომელსაც დაეფუძნებოდა არა მარტო ჰონკონგის ხელისუფლების სამივე შტოს — საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების საქმიანობა, არამედ მაქსიმალურ სიცხადეს შეიტანდა კომპეტენციათა და უფლება-მოსილებათა განაწილებისა და გამიჯვნის საქმეში ცენტრსა და რეგიონს შორის.

ემოციური და არა მარტო ემოციური მომენტი იყო 1997 წლის 30 ივნისს ჰონკონგის მთავრობის სახლზე ბრიტანეთის დროშის დაშვება. ამით, ფაქტობრივად, დასრულდა ჰონკონგის ბრიტანეთისეული ისტორია. ბრიტანეთისთვის ჰონკონგი იყო ბოლო ფორპოსტი, რომელზეც იგი 155 წლის განმავლობაში ახორციელებდა მართველობას.

აქვე, მკითხველის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ეს მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც ეხება მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფს, რომელიც დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის სახელმწიფოებმა შექმნეს საერთო მიზნის მიღწევისა და ორივე მხარესთვის ურთიერთხელსაყრელ და ურთიერთმისაღებ გარემოში მოლაპარაკების პროცესის წარმატებულად წარმართვის მიზნით. მისი მუშაობის ვადად განისაზღვრა პერიოდი 1985 წლის 30 ივნისიდან — 2000 წლის პირველ იანვრამდე. მისი შექმნის წესი, სტრუქტურა და უფლებამოსილება ჩამოყალიბდა აღნიშნული დეკლარაციის მე-2 დანართში. მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის ძირითადი ბაზა განთავსდა ჰონკონგში, ხოლო მხარეთა შეთანხმებით შეხვედრები იმართებოდა ასევე პეკინსა და ლონდონში.

თითოეულ მხარეს, რომელიც 5-5 წევრით იყო წარმოდგენილი, ელჩის ტიტულით ხელმძღვანელობდა უფროსი წარმომადგენელი. ჯგუფს დახმარებას უწევდა 20 თანამშრომელი. მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის წევრები სარგებლობდნენ დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტით ჰონკონგში, ჩინეთსა და დიდ ბრიტანეთში.

ერთობლივ მეკავშირათა ჯგუფის მიზანი იყო 1984 წლის ერთობლივი დეკლარაციის ეფექტურად განხორციელება კონსულტაციებისა და ინფორმაციის გაცვლის ფორმატში.

ჯგუფის ფუნქციებში შედიოდა კონსულტაციების ჩატარება ერთობლივი დეკლარაციის განხორციელების თაობაზე, იმ საკითხების განხილვა, რომელიც ეხებოდა ხელისუფლების გადაცემას 1997 წელს და ინფორმაციის გაცვლა და კონსულტაციების ჩატარება მხარეთა შორის შეთანხმებულ საკითხებზე. რაც შეეხება შეუთანხმებელ საკითხებს, გადაწყდა, რომ მათ განიხილავდა ორივე ხელისუფლება კონსულტაციების გზით.

აღსანიშნავია, რომ მეკავშირეთა ჯგუფში არ ყოფილა გათვალისწინებული ჰონკონგის წარმომადგენლობა, მათ ინტერესებს საკუთარ ინტერესებთან ერთად იცავდა დიდი ბრიტანეთის მეკავშირეთა ჯგუფი.

მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის ამოცანა იყო საკითხების 1997 წლის პირველ ივლისამდე ორ ეტაპად გადაწყვეტა.

პირველ ეტაპზე განსახილველი საკითხები ეხებოდა:

ა) ორივე ხელისუფლების მიერ განსახორციელებელ ქმედებას, რომელიც უზრუნველყოფდა ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის, როგორც ცალკე საბაჟო ტერიტორიის, ეკონომიკური ურთიერთობების შენარჩუნებას და მის მონაწილეობას ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალურ შეთანხმებაში, მრავალპროფილიან შეთანხმებასა და სხვა საერთაშორისო ღონისძიებებში;

ბ) ორივე ხელისუფლების მიერ გასატარებელ ქმედებებს, რომელიც უზრუნველყოფდა საერთაშორისო უფლებებისა და ვალდებულებების შემდგომ გამოყენებას ჰონკონგთან დაკავშირებით;

მეორე ეტაპზე განსახილველი საკითხები მოიცავდა:

ა) პროცედურებს, რომელიც უნდა განხორციელებულიყო 1997 წელს ხელისუფლების გადაცემასთან დაკავშირებით;

ბ) ქმედებებს ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის დასახმარებლად, რათა შეენარჩუნებინათ და განეითარებინათ ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები, გაეფორმებინათ ხელშეკრულებები ამ საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფოსთან, რეგიონთან და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

მეკავშირეთა ერთობლივ ჯგუფს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ენიჭებოდა უფლება, ჩემოეყალიბებინა სპეციალისტთა ქვეჯგუფი, რომელიც განიხილავდა ისეთ განსაკუთრებულ და სპეციფიკურ საკითხებს, რომლებშიც საჭირო იყო ექსპერტის ჩარევა. შეხვედრებზე შეიძლებოდა ექსპერტების დასწრებაც. თითოეული მხარე მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის ან ქვეჯგუფების განსაკუთრებულ შეხვედრებზე განსახილველი საკითხებისა და ადგილის შესაბამისად განსაზღვრავდა დელეგაციის შემადგენლობას.

მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის საქმიანობა, ძირითადად კონფიდენციალური იყო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეები სხვა რამეზე არ იყვნენ შეთანხმებულნი.

მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფი წარმოდგენდა მხარეთა დამაკავშირებელ ორგანოს. ის მონაწილეობას არ იღებდა ჰონკონგის მართვაში და არც მისი ადმინისტრაციის ზედამხედველის ფუნქცია ევალებოდა.

1999 წლის 8 დეკემბერს ჩატარდა მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის ბოლო, 47-ე შეხვედრა,

რომლითაც ჯგუფის ისტორიული მისია წარმატებულად დასრულდა. ჩინურ-ბრიტანული ერთობლივი დეკლარაციის პრაქტიკაში განხორციელება რთული აღმოჩნდა, რადგან მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის წინაშე მდგარი ამოცანები იყო უპრეცედენტო როგორც საერთაშორისო სამართლის, ისე საერთაშორისო პრაქტიკის თვალსაზრისით. **უნდა აღინიშნოს, რომ სარისკო, იმპულსური გადაწყვეტილებების მაგივრად მუშაობისას მხარეების ილებდნენ რაციონალურ, განონასწორებულ, ფრთხილ და, რაც მთავარია, საიმედო გადაწყვეტილებებს. მათი მუშაობისას არ დაფიქსირებულა უტაქტო და უხეში ქმედებები. ეს მარტო ერთი მხარისთვის სარგებლის ძიების კუთხით გამართული კი არა, სირთულეების ერთობლივი ძალებით დაძლევისა და საერთო მიზნის მიღწევაზე ორიენტირებული მოლაპარაკებები იყო.**

მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის 15-წლიანი მუშაობის, კომპრომისებისა და მოლაპარაკებების, ორმხრივი ურთიერთობების შედეგად დიდმა ბრიტანეთმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ შეძლეს არა მხოლოდ გაეღრმავებინათ თანამშრომლობა, არამედ გზა გაეხსნათ ჩინურ-ბრიტანული ურთიერთობების შემდგომი განვითარებისათვის. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ **სწორედ მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის უშუალო მონაწილეობამ და მათმა ძალისხმევამ განაპირობა სამივე მხარის — ჩინეთის, ჰონკონგისა და დიდი ბრიტანეთის ინტერესების გამარჯვება.**

დასკვნის გაბივრად

ამრიგად, 1997 წლის პირველ ივლისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ჰონკონგზე თავისი სუვერენიტეტი აღადგინა — ჰონკონგი დაუბრუნდა ჩინეთს. ამ უკანასკნელმა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ეს ეტაპი წარმატებით დაამთავრა, რითაც საერთაშორისო სამართალში კონფლიქტის დარეგულირების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მშვიდობიანად გადწყვეტის პრეცედენტი შეიქმნა.

მაინც რამ განაპირობა ასეთი წარმატება?

პირველ რიგში ჩინეთის თანმიმდევრულმა პოლიტიკამ და დენ სიაოპინის ბრძნულმა გადაწყვეტილებამ ერთ სახელმწიფოში ორი ურთიერთდაპირისპირებული სისტემების არსებობის შესაძლებლობაზე. მის მიერ წამოყენებული პრინციპი — „ერთი სახელმწიფო, ორი სისტემა“ - ნაკარნახევი იყო სახელმწიფოებრივი ინტერესებით და ჩინელი ხალხის დიდი ხნის მისწრაფებით ჰონკონგის დაბრუნების შესახებ. ეს გახლდათ დენ სიაოპინის, როგორც პრაგმატული ლიდერის ტრიუმფი. „ერთი სახელმწიფო, ორი სისტემა“ აღიარებულ იქნა არა მარტო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საუკეთესო მიგნებად, არამედ საერთაშორისო ურთიერთობებსა და საერთაშორისო სამართალში ახალ სიტყვად.

მეორე — რეალპოლიტიკის არანაკლებ მნიშვნელოვან მაგალითად უნდა იქნეს მიჩნეული დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა ჰონკონგ-ჩინეთის გაერთიანების თაობაზე. არ შეიძლება, არ აღინიშნოს დიდი ბრიტანეთის მთავრობის შედეგიანი, პრაგმატული ქმედებები. ერთი მხრივ, ჰონკონგის სტაბილურობის, კეთილდღეობის, კომუნისტური საფრთხეებისაგან მისი დაცვის მყარი გარანტიების, ხოლო მეორე მხრივ, ჰონკონგში მისი ეროვნული ინტერესების შენარჩუნებისა და დაცვის თვალსაზრისით.

ანგარიშგასანევია თვით ჰონკონგის აქტიური ქმედებები მისი მომავალში წინსვლის, უფლებების და თავისუფლებების დაცვისა და დედასახელმწიფოში — ჩინეთში დაბრუნებისას კომუნისტური რეჟიმისგან თავის დაცვის მიზნით.

პრეცედენტულია და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მხედველობაში მისაღები კონფლიქტების დარეგულირების დროს დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გადაწყვეტილება მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც 1985-2000 წლებში

მუშაობდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მეკავშირეთა ჯგუფმა, მხარეთა მორიგების, შერიგების, ურთიერთხელსაყრელი და ურთიერთმისაღები გარემოს შექმნის მიზნით, შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთა. სწორედ მეკავშირეთა ერთობლივი ჯგუფის აქტიურმა მონაწილეობამ და ძალისხმევამ გახადა შესაძლებელი ჰონკონგისა და ჩინეთის გაერთიანებისათვის ე.წ. რბილად დაშვების პოლიტიკის განხორციელება.

ჰონკონგის დედასახელმწიფოში დაბრუნების, მასზე ჩინეთის სუვერენიტეტის აღდგენის პოლიტიკურ-სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ნანამძღვრები შექმნა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის 1984 წლის 19 დეკემბრის ერთობლივმა დეკლარაციამ ჰონკონგის თაობაზე. ჰონკონგ-ჩინეთის ურთიერთობების გაღრმავებისა და განვითარების ფუნდამენტური პირნციპები დაედო საფუძვლად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის კონსტიტუციას, რომლის პირველ მუხლში ჩანერილია, რომ „ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილი“. ამავე დროს, დეკლარაციის მე-3 პუნქტით ჩინეთმა იკისრა ვალდებულება, რომ 50 წლის განმავლობაში ჰონკონგში შენარჩუნდება კაპიტალისტური სისტემა. ერთობლივი დეკლარაცია უნიკალურია იმითაც, რომ მას მიენიჭა საერთაშორისო შეთანხმების სტატუსი და რეგისტრირებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ.

შეიძლება დავასკვნათ, რომ დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, ჰონკონგისა და ჩინეთის გაერთიანება დიპლომატიის უდიდესი გამარჯვებაა და სანიმუშოდ უნდა იქნეს აღიარებული მსოფლიო პრაქტიკაში მისი დამკვიდრების თვალსაზრისით.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. “Modern History of Hong Kong, 1841-1997”, Steve Tsang, I.B.Tauris & Co Ltd, 2004.
2. Hong Kong, 1997, “The Politics of Transition.” Enbao Wang, Boulder CO: Lynne Rienner, 1999.
3. Хуан Вэньфан. Сянган будет лучше после 97-го года // Мин Бао. Сянган. 1997. 1 января.
4. გარდაუვალი ცვლილებების პირისპირ <http://www.tabula.ge/ge/story/54759-gardauvali-cvlilebebis-pirispir>
5. The Basic Law of the Hong Kong Special Administrative Region of the People’s Republic of China.
6. Sino-British Joint Declaration (Joint Declaration of the Government of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland and the Government of the People’s Republic of China on the Question of Hong Kong).